სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიღების წესი (შემდგომში - ,,წესი“) არეგულირებს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში (შემდგომში - „თსკ“) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურას.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პროცედურებს უზრუნველყოფს თსკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სასწავლო დეპარტამენტთან და სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტთან კოორდინირებით.

მუხლი 2. წესის მიზანი

ამ წესის მიზანია თსკ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა/სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურების უზრუნველყოფა, ასევე სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. თსკ-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე თსკ-ში სწავლის მსურველი აბიტურიენტები/მაგისტრანტობის კანდიდატები/ სტუდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. თსკ-ში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის ფორმა); *(დანართი 1.1; დანართი 1.2)*

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - „უსდ“) მიღებული შეფასებების და კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ში;

ე) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი;

ვ) ფოტო 3X4-ზე (ელექტრონული ვერსია);

ზ) პროგრამის განხორციელების ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) მისაღები მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი ნაწარმოებების ნუსხა, სანოტო ნიმუშების და ჩანაწერების ელ.ვერსიები (პროგრამაზე კომპოზიცია).

ი) კონკურსში (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასური, რომელიც განისაზღვრება თსკ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული), განცხადებას ასევე უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა, ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

ლ) კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება, წარმოადგენენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელ შესაბამის ცნობას.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის ფორმა); *(დანართი 2.1; დანართი 2.2)*

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უსდ-ის მიერ გაცემული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი (დედნის ელ. ვერსია) სამაგისტრო პროგრამებისთვის;

დ) უცხო ქვეყნის უსდ-ში მიღებული შეფასებების და კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ის მაგისტრატურაში;

ე) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი;

ვ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელიც უსდ-ს ბაკალავრიატში ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, უნდა წარმოადგინოს:

ვ.ა) დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლი/ცნობა ხარისხის მინიჭების თაობაზე;

ვ.ბ) უსდ-ის რექტორის ბრძანება, რომელიც ადასტურებს უსდ-ში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვას.

ზ) ფოტო 3X4-ზე (ელექტრონული ვერსია);

თ) პროგრამის განხორციელების ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) მისაღები მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი ნაწარმოებების ნუსხა, სანოტო ნიმუშების და ჩანაწერების ელ.ვერსიები (პროგრამაზე კომპოზიცია);

კ) სამაგისტრო შემოქმედებითი პროექტის წერილობითი აღწერა ელ. ფაილის/ფოლდერის სახით და განვლილი შემოქმედებითი აქტივობების პორტფოლიო ელ.ფაილის/ ფოლდერის სახით (პროგრამაზე მუსიკის ტექნოლოგია);

ლ) კონკურსში (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასური, რომელიც განისაზღვრება თსკ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული), განცხადებას ასევე უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა, ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

ნ) "მ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება, წარმოადგენენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელ შესაბამის ცნობას.

3. სხვა საჭირო დოკუმენტაციათა ნუსხა განისაზღვრება თსკ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებიდან გამომდინარე.

4. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

მუხლი 5. ერთიანი ეროვნული გამოცდების /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების წინაპირობები

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ მაგისტრანტობის კანდიდატი ენის ცოდნის კომპეტენციას ადასტურებს საერთაშორისო სერტიფიკატით (ინგლისური ენის შემთხვევაში), გასაუბრებით (ქართული ენის შემთხვევაში), პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისად;

2. აბიტურიენტების/სტუდენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების კანდიდატი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის თსკ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/შემოქმედებით ტურს/ტურებს პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისაღები გამოცდები/შემოქმედებითი ტურები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა/შემოქმედებითი ტური ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (ბაკალავრიატში - მინიმუმ 51 ქულა; მაგისტრატურაში პროგრამებზე: "საშემსრულებლო ხელოვნება" და "კომპოზიციაზე" - მინიმუმ 81 ქულა, "მუსიკის ტექნოლოგიაზე" - მინიმუმ 71 ქულა).

4. თსკ-ის რექტორის წერილობითი თანხმობა პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, გაიცემა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/შემოქმედებითი ტურების ჩაბარების შემთხვევაში.

5. თსკ-ის რექტორის წერილობითი თანხმობა, ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით, გაიცემა დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. გამოცდების/შემოქმედებითი ტურების ჩატარების ვადები და პროცედურა

1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება თსკ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრისათვის და წარიმართება მაისი - ივლისის პერიოდში.

3. აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატი ქართულენოვან პროგრამაზე გამოცდას/გასაუბრებას ქართულ ენაში აბარებს რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე. გამოცდის/გასაუბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი.

4.მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების ჩატარებას უზრუნველყოფს თსკ-ის რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მისაღები გამოცდების საკოორდინაციო ჯგუფი.

მუხლი 7. თსკ-ში ჩარიცხვა

1. უსდ-ში სწავლის უფლების თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის/ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე აბიტურიენტს/სტუდენტს/მაგისტრანტობის კანდიდატსა და თსკ-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოიცემა თსკ-ის რექტორის ინდოვიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონდე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის ჯანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე.

3. თსკ უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართვას სასწავლო პროცესში სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში.

4. რექტორის ბრძანება დაუყოვნებლივ ქვეყნდება თსკ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე და აისახება სსიპ – სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 8. სწავლის საფასური

სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 9. დამატებითი რეგულაციები

კონსერვატორიის გამოცდების/შემოქმედებით ტურების ჩატარების პროცედურა, ფორმატი და აპლიკანტის უფლება-მოვალეობები რეგულირდება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით“.

დანართი 1.1 - Application Form (BA)

Vano Sarajisvili Tbilisi State Conservatoire

Exam/Audition Rounds Registration Form

Applicant’s Name, Surname:

Date of Birth:

Telephone Number:

Email:

Citizenship:

Address:

Choose one option:

a) Applying with Unified National Examination
b) Applying without Unified National Examination

Please indicate the Bachelor's program, specialization, and instrument.

Please fill in the examination program:

I confirm that this form has been completed by me and that the information provided is accurate.

Date of Filling the Form /dd/mm/yy/:

Signature:

დანართი 1.2 - განაცხადის ფორმა (BA)

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შემოქმედებით ტურზე რეგისტრაციის ფორმა

(ქართულენოვან პროგრამებზე - ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

დაბადების თარიღი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ეროვნება/მოქალაქეობა:

მისამართი:

მიუთითეთ საბაკალავრო პროგრამა, სპეციალობა, ინსტრუმენტი:

შეავსეთ საგამოცდო პროგრამა:

ვადასტურებ, რომ ეს ფორმა ჩემ მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

შევსების თარიღი /დღე/თვე/წელი/:

ხელმოწერა:

დანართი 2.1 - Application Form (MA)

Vano Sarajisvili Tbilisi State Conservatoire

Exam/Audition Rounds Registration Form

Applicant's Name, Surname:

Date of Birth:

Telephone Number:

Email:

Citizenship:

Address:

Choose one option:

a) Applying with Unified Master's Examination
b) Applying without Unified Master's Examination

Please indicate the Master's program, specialization, and instrument:

Please fill in the examination program:

I confirm that this form has been completed by me and that the information provided is accurate.

Date of Filling the Form /dd/mm/yy/:

Signature:

დანართი 2.2 - განაცხადის ფორმა (MA)

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შემოქმედებით ტურზე რეგისტრაციის ფორმა

(ქართულენოვან პროგრამებზე - საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე)

აპლიკანტის სახელი, გვარი:

დაბადების თარიღი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ეროვნება/მოქალაქეობა:

მისამართი:

მიუთითეთ სამაგისტრო პროგრამა, სპეციალობა, ინსტრუმენტი:

შეავსეთ საგამოცდო პროგრამა:

ვადასტურებ, რომ ეს ფორმა ჩემ მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

შევსების თარიღი /დღე/თვე/წელი/:

ხელმოწერა: